



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე კ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ა. შერმადინი

თორნიკე შერმადინი

„31“ 12 „ 2014 წელი

ეგზ N2

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *ა 62/00*

2010-2012 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	4
შესაბამისობის აუდიტის მიზანი.....	4
აუდიტის მასშტაბი.....	5
აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა	5
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა.....	6
გამოვლენილი გარემოებები	7
წყალმომარაგებითა და წყალარინებით მომსახურების მდგომარეობა.....	7
სასმელი წყლის დაბინძურებისგან დაცვა.....	7
ტარიფი და მიწოდების გრაფიკები	8
უმრიცხველო აბონენტთა სულადობის დადგენის კრიტერიუმები.....	8
მრიცხველიან აბონენტებზე დარიცხვების რეალობა.....	9
ახალი დარეგისტრირებული იურიდიული პირები.....	9
ქსელზე დაერთებიდან მიღებული შემოსავლები	10
ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები.....	10
ხარჯები	11
შრომის ანაზღაურება	12
პრემია	12
საერთაშორისო სესხები.....	13
ელექტროენერგია.....	13
საწვავი	16
შესყიდვები	17
ტენდერი.....	17
ელექტრონული ტენდერი	18
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.....	19
ფასთა კოტირება	19
გამარტივებული შესყიდვა.....	20
ერთ პირთან მოლაპარაკება	20

შესყიდვა სპეციალური წესით.....	20
ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვა	22
ინვენტარიზაცია	24

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) 2010, 2011 და 2012 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა კომპანიის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- სხვა მარეგულირებელ ნორმებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, კომპანიის საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- "წყლის შესახებ" საქართველოს კანონი
- საქართველოს კანონი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 მარტის N 80 დადგენილება
- "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N 349/ნ ბრძანება
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის N 745 ბრძანება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტო N 297/ნ ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“
- "სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის N 32 დადგენილება
- "წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს N 18 დადგენილება
- "ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს N 14 დადგენილება
- "წყალმომარაგების ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს N 17 დადგენილება.
- "სასმელი წყლის მიწოდების საქმიანობის-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 24 სექტემბრის N 15/21 გადაწყვეტილება
- "წყალმომარაგების სისტემის კვარტალური ანგარიშგების ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 24 სექტემბრის N 15/22 გადაწყვეტილება
- "წყალმომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 24 სექტემბრის N 15/3 გადაწყვეტილება
- "წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის N 15/ნ ბრძანება

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა კომპანიის 2010, 2011 და 2012 წლების შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. კომპანიის შემოსავლების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან;
2. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსების განკარგვის კანონიერება და მართლზომიერება;
3. კომპანიის სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო და სხვა ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2010, 2011 და 2012 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების¹ შესაბამისად. კომპანია სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა სახელმწიფოს მიერ 100% წილის მონაწილეობით. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N978 განკარგულების საფუძველზე, კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისათვის ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. კომპანიის სტრუქტურაში შედის სათაო ოფისი 6 რეგიონალური ფილიალი და 50 სერვის ცენტრი.

წესდების თანახმად, კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- წყლის მოპოვება, მოსახლეობის, ორგანიზაციების და დაწესებულებების სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგება;
- დაბინძურებული და ჩამონადენი წყლების, ფეკალური სითხეების შეკრება, დასახლებული პუნქტებიდან გატანა, ქიმიურ-ტექნიკური დამუშავება წყალმიმღებში ჩაშვება ქალაქებსა და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში;
- წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების პროექტირება, მშენებლობა მონტაჟი, შეკეთება და ექსპლოატაცია;
- წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების ელემენტების წარმოება-შეკეთება;
- წყლის და ფეკალური მასების საწმენდი ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების, ტექნიკური საშუალებების წარმოება;
- ვაჭრობა წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების ელემენტებით, წყლისა და ფეკალური მასების წმენდა ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებითა და ტექნიკური საშუალებებით;

2010, 2011 და 2012 წლებში კომპანიის მიღებული აქვს 125,828,789 ლარის შემოსავალი. შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიღებულია შემდეგი საქმიანობებიდან:

შემოსავლები	2010	2011	2012	სულ
მომხმარებლებზე სასმელი წყლის მიწოდება	18,043,891	26,356,661	26,878,801	71,279,353
გამრიცხველიანება	311,504	1,335,424	1,836,696	3,483,625
წყალმომარაგების, წყალარინების ქსელზე მიერთება	17,045	219,281	501,090	737,416
სუბსიდიების აღიარება შემოსავალში	16,050,720	10,444,251	14,000,000	40,494,970
ჯამი	34,423,159	38,355,617	43,216,588	115,995,364

2010, 2011 და 2012 წლებში კომპანიის მიერ გაწეულია 118, 723,878 ლარის ხარჯი:

ხარჯები	2010	2011	2012	სულ
საოპერაციო ხარჯები	27,531,603	40,123,350	42,784,691	110,439,644
არასაოპერაციო ხარჯები	1,929,550	1,097,754	940,423	3,967,727
განსაკუთრებული და სხვა ხარჯები	964,945	1,949,969	1,401,593	4,316,507
ჯამი	30,426,098	43,171,073	45,126,707	118,723,878

კომპანიის მიერ წყალმომარაგებითა და წყალარინებით მომსახურების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველებია საქართველოს კანონმდებლობა, კომპანიის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულება და დირექტორის მიერ გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტები.

¹ 2010 წლის 11 იანვრის N1-1/13 ბრძანება

გამოვლენილი გარემოებები

წყალმომარაგებითა და წყალარინებით მომსახურების მდგომარეობა

კომპანიას არ აქვს წყალსატევებში წყალარინების ქსელიდან ჩამდინარე სითხის გამწმენდი ნაგებობები და შესაბამისად არ ხორციელდება წყალარინების ქსელიდან ჩამდინარე სითხის გაწმენდითი სამუშაოები. არ არის დაცული საქართველოში მოქმედი სტანდარტების და ტექნიკურ რეგლამენტების მოთხოვნები. კერძოდ:

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება² „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვით მიმწოდებელს ევალება განახორციელოს წყალარინება, შესაბამისად, ჩამდინარე სითხის გარემოსაგან იზოლირება და მისი წყალსატევში ჩაშვებამდე, სათანადოდ გაწმენდის უზრუნველყოფა.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება³, რომლის მიხედვით ზედაპირული წყლის ობიექტებში დაუშვებელია გაუწმენდავი ან არასაკმარისად გაწმენდილი და ინფექციური დაავადებების გამომწვევების შემცველი ჩამდინარე წყლების ჩაშვება.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით⁴ განსაზღვრული ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესებისა და ნორმების სრულყოფილად დაცვა.

სასმელი წყლის დაბინძურებისგან დაცვა

შერჩევით დავათვალიერეთ ქ.ქუთაისის, ქ.ფოთის, სენაკის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ბაღდათის და წყალტუბოს სათავე ნაგებობები და წყალმომარაგების სისტემები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

წყლის დაცვის მიზნით არ არის შექმნილი ან/და არასრულყოფილია სანიტარიული დაცვის ზონები ონის, ამბროლაურის, ბაღდათის და ტყიბულის სათავე ნაგებობებზე.

არ არის შექმნილი ან/და არასრულყოფილია სანიტარიული დაცვის ზონები ტყიბულში ძუსას, თეთრი ღელეს (სვანეთის ქუჩა), ხოჭოულას, მუხურა 2-ის და ნიკნოულას სათავე ნაგებობებიდან ჩამომდინარე წყლისთვის შექმნილ რეზერვუარებთან.

აღნიშნულით კომპანიის მიერ დარღვეულია საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“⁵, რომლის მიხედვით სასმელი წყლის დაცვის მიზნით უნდა შეიქმნას სანიტარული ზონები, ამასთან სანიტარიული დაცვის თითოეული ზონის საზღვრები ზუსტად უნდა განისაზღვროს რუკაზე, ხოლო ზონის პირველი სარტყლის საზღვრები უნდა იყოს შემოღობილი, შესაბამისი ნიშნულებით (ბოძები წარწერით და ა.შ.) აღნიშნული და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფილი.

გამომდინარე ზემოხსენებულიდან არსებობს რისკი იმისა, რომ მოხდეს წყლის როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად დაბინძურება, რადგან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შესაძლებელი შედგება როგორც სათავე ნაგებობაზე, ასევე სასმელი წყლისათვის შექმნილ რეზერვუარებთან.

2 26.11.08წ N 32 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ვ) ქვეპუნქტი

3 13.11.08 N 745 ბრძანება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ დანართი 1-ის (საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი) მე-6 პუნქტი

4 16.08.01 N 297/ნ ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“

5 21-ე მუხლის 1-2 პუნქტები

ტარიფი და მიწოდების გრაფიკები

კომპანიაში წყლის მომხმარებელზე წყლის გადასახადის (ტარიფების გათვალისწინებით) სულადობის მიხედვით დარიცხვისას არ არის გათვალისწინებული წყლის მიწოდების გრაფიკებთან შესაბამისობა. წყლის უწყვეტად მიწოდების და სხვადასხვა გრაფიკების დადგენის შემთხვევებშიც, მომხმარებელს ერიცხება სრული გადასახადი.

ქვემოთ მოცემულია წყლის მიწოდების გრაფიკების ცხრილი იმ შერჩეული მუნიციპალიტეტებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით, სადაც 2010-2012 წლებში წყლის მიწოდების გრაფიკები განსაკუთრებით შეზღუდული იყო.

მუნიციპალიტეტი	საშუალო დღიური მიწოდება		
	2010 წელი საათი	2011 წელი საათი	2012 წელი საათი
ხაშური	1	4	5
დუშეთი	0	1	10
ქუთაისი	2	10	10
ზესტაფონი	2	1	5
მარნეული	2	3	3
წალკა	2	20	23
სენაკი	2	5	5
ფოთი	2	3	6
გურჯაანი	1	2	3
თელავი	20	2	5
ყვარელი	1	4	13
სართიჭალა	1	3	2

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი წყლის შეზღუდული გრაფიკებისა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მომხმარებელს წყლის გადასახადი ერიცხებოდა სრული ტარიფებით, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ მომხმარებელს, რომელთაც წყალი მიეწოდებოდათ ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში.

უმრიცხველო აბონენტთა სულადობის დადგენის კრიტერიუმები

კომპანია თავდაპირველად დარიცხვებს აწარმოებდა „დასავლეთის“ და „აღმოსავლეთის“ წყლის კომპანიებში არსებული ბაზების საფუძველზე. ხოლო 2010 წლის აგვისტოდან დაიწყო და 2012 მაისის ჩათვლით გაგრძელდა რაიონული ცენტრების გადაყვანა სამოქალაქო რეესტრის ბაზის მიხედვით დარიცხვაზე. აბონენტთა სულადობის ცვლილებები ბილინგის მონაცემთა ბაზაში ხდებოდა ავტომატურად, სამოქალაქო რეესტრის ბაზაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. 2012 წლის თებერვლის თვიდან მოხდა სამოქალაქო რეესტრის ბაზიდან განახლებების შეწყვეტა, რადგან ხშირ შემთხვევაში კორპუსები სამოქალაქო რეესტრის ბაზაში არ იყო ბინებად ჩაშლილი, აგრეთვე მისამართზე რეგისტრირებული იყო რეალურზე ბევრად მეტი პიროვნება. აბონენტების მიმართვების რაოდენობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდებოდა სამოქალაქო რეესტრის ბაზაში ოპერატიულად ცვლილებების განხორციელება და ა.შ.

შემდგომ აბონენტების სულადობის ცვლილება ხორციელდებოდა კომპანიაში შექმნილი სულადობის დამდგენი კომისიის მიერ აბონენტის მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მოკვლევის საფუძველზე.

კომპანიის სამწლიანი საქმიანობის შედეგად (2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით), კომპანიის ბაზაში მაინც რჩება ისეთი აბონენტები, რომელთა სულადობა აღემატება გონივრულ რაოდენობას და ვერ ვრწმუნდებით კომპანიის უმრიცხველო აბონენტებისგან მიღებული შემოსავლების რეალობასა და სისრულეში.

ქვემოთ მოცემულია 2012 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით კომპანიის უმრიცხველო აბონენტების სულადობის რაოდენობა:

სულადობა	აბონენტთა რაოდენობა
10 დან - 50 მდე	995
51 დან - 100 მდე	37
100 ზემოთ	11

მრიცხველიან აბონენტებზე დარიცხვების რეალობა

აუდიტის პროცესში შერჩეულ იქნა კომპანიის ისეთი 308 იურიდიული პირი აბონენტი, რომლებზეც არ ხდებოდა წყლის გადასახადის დარიცხვა დარეგისტრირების დღიდან 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ აბონენტებზე მოთხოვნილ იქნა მრიცხველებზე გადაღებული სურათები, რათა მოგვეხდინა მრიცხველის ნომრისა და ჩვენების იდენტიფიცირება. მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 55 აბონენტს წყლის მოხმარება დაწყებული აქვს 2013 წლიდან, ხოლო ერთ შემთხვევაში მრიცხველის ჩვენება და კომპანიაში არსებული ბაზის მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ ერთერთი აბონენტის მრიცხველზე გადაღებული სურათის მიხედვით, ჩვენება შეადგენდა 9,976 მ³-ს, ხოლო კომპანიაში არსებული ბაზების მიხედვით აღნიშნულ აბონენტს წყლის ხარჯი არ ჰქონია და მისი მრიცხველის ჩვენება შეადგენს 1 მ³-ს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ 202 აბონენტის მრიცხველზე სურათი მოწოდებული ვერ იქნა, სხვადასხვა ახსნა განმარტებებით (არ იძებნება, გაუქმებულია და სხვა), თუმცა ყოველთვიურად ბილინგის დეპარტამენტში შემოდიოდა ინფორმაცია იმ მრიცხველების ნულოვანი ხარჯის შესახებ, რომლებიც ვერ იქნა ნანახი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ვრწმუნდებით იმაში, რომ მრიცხველის ჩვენებები, რომელიც შემოდის კომპანიის ბილინგის ბაზაში აბონენტებისთვის წყლის გადასახადის დარიცხვის მიზნით, შეესაბამება თუ არა რეალობას.

ახალი დარეგისტრირებული იურიდიული პირები

2010, 2011 და 2012 წლებში კომპანიის აბონენტად დარეგისტრირდა სულ 6,388 იურიდიული პირი. ანალიზისთვის შეირჩა 100 ისეთი იურიდიული პირი, რომელთა საშუალო ყოველთვიური დარიცხვებიც იყო ყველაზე მაღალი. ანალიზის შედეგად 33 იურიდიული პირის შემთხვევაში (თვეში საშუალო გადასახდი 54,135 ლარი) აღმოჩნდა, რომ ისინი აბონენტად რეგისტრაციამდეც ოპერირებდნენ აღნიშნულ მისამართებზე, თუმცა ვერ დგინდება აბონენტად რეგისტრაციამდე საიდან მიეწოდებოდათ მათ წყალი. არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანია გარკვეული ხნის განმავლობაში კარგავდა ასეთი აბონენტებიდან მისაღებ შემოსავალს, შესაბამისად ვერ დასტურდება დარიცხული შემოსავლების სისრულე და რეალობა.

კომპანიის დასახელება	საშუალო დარიცხვა	აბონენტად რეგისტრაცია	სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია
შპს საგზაო კონსტრუქციების ფილიალი საქართველოში	4,100	21 თებერვალი 2012	15 აგვისტო 2011
პანსიონატი კეჩხოზი	1,245	28 ოქტომბერი 2010	20 ნოემბერი 1996
შპს მარაკანა 555	1,231	08 დეკემბერი 2011	16 სექტემბერი 2010
შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	1,137	04 ოქტომბერი 2012	22 სექტემბერი 2006
შპს "კარმენ"	2,987	31 აგვისტო 2010	07 სექტემბერი 2007
შპს "გლობუსი-2"	885	31 აგვისტო 2010	26 ნოემბერი 2007
შპს ვილა პარკი	1,398	05 აპრილი 2011	22 თებერვალი 2005
საქ.ჯანმრთ და ქიმ.მრეწ მუშაკთა პროფესიული კავშირი	1,034	23 აგვისტო 2011	31 დეკემბერი 1998
შპს ვაზიანი კომპანი	890	18 თებერვალი 2011	20 ნოემბერი 1997

შპს უნიმედი სამცხე(ახალქალაქი)	1,480	22 ოქტომბერი 2012	29 ივნისი 2010
შსს ს/ჯ სამხარეო მთავარი სამმართველო	1,203	30 სექტემბერი 2010	სახ. დაწესებულება
ააიპ "ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი"	894	25 ივლისი 2011	სახ. დაწესებულება
#8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (მრ4)	3,663	31 აგვისტო 2010	სახ. დაწესებულება
#8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (მრ6)	2,586	31 აგვისტო 2010	სახ. დაწესებულება
#8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (მრ5)	2,244	31 აგვისტო 2010	სახ. დაწესებულება
#8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (მრ3)	2,223	31 აგვისტო 2010	სახ. დაწესებულება
#8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	1,817	31 აგვისტო 2010	სახ. დაწესებულება
შპს ნიუ ენერჯი	924	25 ივლისი 2011	08 აპრილი 2004
შპს საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის (ბაზა)	2,368	29 დეკემბერი 2011	08 ივლისი 2008
შპს "ევრაზიან სტილს"	2,066	28 მარტი 2011	01 აპრილი 2008
შპს საქართველოს რკინიგზა (დეპო)	1,825	27 ივნისი 2011	21 დეკემბერი 1998
ქ.ქუთაისის მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური.	1,792	22 ივნისი 2012	სახ. დაწესებულება
შპს შიტრიტ ჯგუფი საქართველოში	1,434	24 სექტემბერი 2012	04 თებერვალი 2011
ქ.ქუთაისის მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური	1,434	25 ივნისი 2012	სახ. დაწესებულება
შპს საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი	1,427	28 იანვარი 2011	08 ივლისი 2008
ქ.ქუთაისის მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური..	1,386	22 ივნისი 2012	სახ. დაწესებულება
ქ.ქუთაისის მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური...	1,085	22 ივნისი 2012	სახ. დაწესებულება
ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილ	872	26 ივლისი 2012	05 ივნისი 2009
გიორგი ნიკოლაძე	796	23 აგვისტო 2012	28 აპრილი 2009
სს ჩემი ოჯახის კლინიკა	785	26 თებერვალი 2011	03 ოქტომბერი 2005
შპს ქუთაისი 2010	772	17 მარტი 2011	14 სექტემბერი 2010
შპს სასატუმრო ყაზბეგი	3,036	27 აგვისტო 2012	27 ივნისი 2011
შპს"დემიროლსერვისი"	1,118	30 სექტემბერი 2010	21 იანვარი 2010

ქსელზე დაერთებიდან მიღებული შემოსავლები

21 შემთხვევაში, კომპანიამ ვერ წარმოადგინა ახალაშენებულ ობიექტებში განთავსებული და აბონენტად დარეგისტრირებული იურიდიული პირების წყალსადენ-წყალარინებზე დაერთების ვერც ტექნიკური პირობა და ვერც დაერთების გადასახადის დარიცხვის საბუთები. შესაბამისად ჩვენ ვერ გამოვთქვავთ რწმუნებას ქსელზე დაერთებიდან მიღებული შემოსავლების სისრულესა და რეალობაზე. ზემოხსენებული წარმოშობს რისკს რამდენად კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის განხორციელებული დაერთება და ასევე რამდენად სრულყოფილად ხდებოდა წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასურის დარიცხვა.

ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები

კომპანიის დირექტორის ბრძანებით, სერვის ცენტრის მენეჯერებს/დირექტორებს მიენიჭათ შესაბამის სერვის ცენტრზე მიმაგრებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და სპეციალური ტექნიკით მომსახურების

გაწევასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილება. მომსახურების ტარიფები დადგენილია სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

დაინტერესებული პირი მიმართავს სერვის ცენტრის მენეჯერს განცხადებით. მიღებული განცხადების საფუძველზე კომპანიის შესაბამისი სპეციალისტი (ტექნიკური განყოფილების უფროსი/სპეციალისტი ან სხვა) მიერ ხორციელდება შესასრულებელი სამუშაო ობიექტის წინასწარი დათვალიერება, რომლის საფუძველზეც ხდება ხელშეკრულების მოცულობის/ღირებულების განსაზღვრა. ხელშეკრულების მოცულობის/ღირებულების განსაზღვრის შემდგომ ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია დამკვეთი, საჭირო ტექნიკა (მარკა-მოდელი), მომსახურების ხანგრძლივობა (საათები, დღეები) ან/და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა. მომსახურების გაწევის შემდეგ შედგება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც დაფიქსირდება კონკრეტულად გაწეული მომსახურების თარიღი, ადგილი, ოდენობა და გადასახდელი თანხა. დამკვეთი იხდის საფასურს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ კომპანიაში არ წარმოებს სპეციალური ტექნიკის სამუშაოებზე გაცვანისა და შემდგომ მისი დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნების აღრიცხვა, ასევე არ წარმოებს სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების აღრიცხვა, რაც კონტროლის მექანიზმის სისუსტეზე მეტყველებს. შესაბამისად ჩვენ ვერ ვრწმუნდებით ხომ არ იყო შესრულებულ სამუშაოებზე დახარჯული იმაზე მეტი დრო ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

ტექნიკის გაქირავებიდან 2010 წელს შემოსავლები არ ყოფილა. 2011 წელს მიღებულია 10,686 ლარის, ხოლო 2012 წელს 81,701 ლარის შემოსავლები.

ხარჯები

2010-2012 წლებში კომპანიაში გაწეულია სულ 118,723,878 ლარი, კერძოდ:

	2010	2011	2012	ჯამი
საოპერაციო ხარჯები	27,531,603	40,123,350	42,784,691	110,439,644
ძირითადი მასალები	2,812,373	6,401,946	2,214,837	11,429,156
მარაგები	1,835,258	4,664,228	299,797	6,799,283
საწვავი	977,115	1,737,718	1,915,040	4,629,873
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	-	8,012	8,012
მიწოდების ხარჯები	79,731	99,446	114,849	294,026
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24,639,499	33,621,958	40,446,993	98,708,450
შრომის ანაზღაურება	9,153,603	11,976,904	13,301,458	34,431,965
იჯარა	299,209	381,266	357,688	1,038,163
მესტიის სერვიტუტი	-	77,610	-	77,610
საოფისე ინვენტარი	-	2,827	-	2,827
კომუნიკაციები	238,090	301,635	276,299	816,024
დაზღვევა	46,195	-	4,590	50,785
მივლინებები	112,861	204,291	237,260	554,412
ტრანსპორტი	24,313	41,160	46,932	112,405
რემონტები	155,515	330,139	590,864	1,076,518
ობიექტზე გაწეული სხვა მომსახურება	1,797	38,960	17,830	58,587
ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთება	-	-	7,966	7,966

კომპიუტერის ხარჯი	398	620	460	1,478
სხვა მოსაკრებლის ხარჯი	-	15,354	13,248	28,602
საგადასახადო ხარჯი	454,370	773,421	1,184,141	2,411,932
კონსულტაცია	-	673,681	997,631	1,671,312
ცვეთა და ამორტიზაცია	4,693,813	8,073,522	12,886,115	25,653,450
ოფისი	41,923	50,472	23,372	115,767
კომუნალური მომსახურება	8,624,194	9,768,265	9,560,035	27,952,494
სხვა საერთო	784,633	861,575	899,479	2,545,687
წარმომადგენლობითი	8,585	50,256	41,625	100,466
არასაოპერაციო ხარჯები	1,929,550	1,097,754	940,423	3,967,727
ოვერდრაფტის პროცენტი	18,093	10	-	18,103
უარყოფითი საკურსო სხვაობა	1,779,825	860,374	769,974	3,410,173
ჯარიმები და საურავები	15,126	15	5,660	20,801
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	10,000	-	56,415	66,415
ვალდებულება საერთაშ.სესხის აუთენტიკაციისთვის	106,506	230,998	107,021	444,525
გამოუქვითავი ხარჯები	-	6,357	1,353	7,710
განსაკუთრებული და სხვა ხარჯები	964,945	1,949,969	1,401,593	4,316,507
განსაკუთრებული ხარჯები	-	-	101,799	101,799
დარიცხული პროცენტები	-	-	101,799	101,799
სხვა ხარჯები	964,945	1,949,969	1,299,794	4,214,708
მოგების გადასახადი	894,996	1,949,969	1,299,260	4,144,225
გაურკვეველ ანგარიშებზე გადარიცხული თანხები	69,949	-	534	70,483

შრომის ანაზღაურება

კომპანიაში 2010-2012 წლების მიხედვით ადგილი აქვს თანამშრომელთა საშუალო შრომის ანაზღაურების ზრდას, რაც ძირითადად გამოწვეულია კომპანიის თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოების გაზრდით.

წელი	შრომის ანაზღაურება	თანამშ. საშ. რიცხოვნება	საშ. შრომის ანაზღაურება
2010	9,153,603	2563	3,571.44
2011	11,976,904	2547	4,702.36
2012	13,301,458	2497	5,326.98

პრემია

2010- 2012 წლებში კომპანიის მიერ პრემიის სახით სულ გაცემულია 1,577,759 ლარი, მათ შორის:

წელი	პრემია	მ.შ ადმინისტრაცია	%
2010	10,069	-	0%
2011	602,493	443,327	74%
2012	965,197	575,492	60%
სულ	1,577,759	1,018,819	65%

გაცემული პრემიების უდიდესი ნაწილი მოდის ადმინისტრაციის თანამშრომლების პრემირებაზე, ამასთან აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლების რაოდენობა, კომპანიის მთლიანი თანამშრომლების რაოდენობასთან მიმართებაში საშუალოდ მხოლოდ 7,3%-ს შეადგენდა.

საერთაშორისო სესხები

წყალმომარაგების კომპანიას ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან (EBRD) 2010 წელს სესხის სახით მიღებული აქვს 7,000,000 ევრო, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკიდან (EIB) 2011 წელს - 40,000,000 ევრო. სესხის აუთვისებელ ნაწილზე, მიუხედავად იმისა, რომ სესხის ათვისება შეიძლება გათვლილი იყოს რამდენიმე წელზე, ხელშეკრულების პირობების თანახმად, კომპანიას ყოველწლიურად გადასახდელად ერიცხებოდა სესხის აუთვისებელი ნაწილის 0,5%.

კომპანიაში წარმოდგენილი ინფორმაციით სესხის აუთვისებლობაზე კომპანიას გადასახდელად დაერიცხა 188,727 ლარი. მათ შორის 2010 წელს - 18,343 ლარი (აუთვისებელი თანხა - 2,533,015 ევრო), 2011 წელს - 108,440 ლარი (აუთვისებელი თანხა - 21,583,850 ევრო) და 2012 წელს 61,944 ლარი (აუთვისებელი თანხა - 5 300 000 ევრო).

ელექტროენერგია

კომუნალურ მომსახურებაზე 2010-2012 წლებში გაწეული 32,983,942 ლარის ხარჯიდან (დღგ-ს ჩათვლით) 32,687,285 ლარი (99%) წარმოადგენს ელექტროენერგიის ხარჯს, რომელსაც კომპანია სუბსიდიის სახით იღებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან. იმავე პერიოდში კომპანიას ელექტროენერგიის ღირებულების საფასურის სახით გადახდილი აქვს 31,719,443 ლარი და 2012 წლის 31 დეკემბრისთვის მას ერიცხებოდა 967,843 ლარის კრედიტორული დავალიანება. მათ შორის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დავალიანება 891,492 ლარი და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ – 76,353 ლარი.

აუდიტის ძირითადი პროცედურებით ვერ მოხერხდა ელექტროენერგიის არანორმირებული დანაკარგების არსებობის ფაქტის დადგენა, რადგან აგრეგატების დადგმული სიმძლავრეები (ელექტროენერგიის შესაძლო მოხმარების მაქსიმალური ოდენობა) აღემატება ელექტროენერგიის ფაქტობრივ მოხმარებას. გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგიის უშუალო მოხმარების ადგილებში არ ხდება ელექტროენერგიის აღრიცხვა, ვერ დავრწმუნდით ქვესადგურებში აღრიცხული და ფაქტობრივად კომპანიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის თანაფარდობაში, რადგან ქვესადგურებიდან უშუალოდ ელექტროენერგიის მოხმარების ადგილებამდე, რიგ შემთხვევებში, მანძილი საკმაოდ დიდია და არსებობს ელექტროენერგიის არაკეთილსინდისიერი მოხმარების რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საბალანსო გაყოფის წერტილიდან სატუმბო სადგურამდე საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის დაშორების მანძილები:

რეგიონული ფილიალი	სერვის ცენტრი	სატუმბო სადგური	ს.ე.გ. ხაზის სიგრძე
ქვემო ქართლი	მარნეული	ქოლაგირი	4,8კმ
ქვემო ქართლი	მარნეული	საიმერლო	4,4კმ
იმერეთი	წყალტუბო	მიწაწითელა	7,3კმ
იმერეთი	ჭიათურა	თირი	7,5კმ
ქუთაისი	ქუთაისი	ქვიტირი	7,8კმ
ქუთაისი	ქუთაისი	მუხიანი	11,3კმ
ქუთაისი	ქუთაისი	ფარცხანაყანევი	9,4კმ
ქუთაისი	ქუთაისი	მე-6ქვ--- ქვიტირი	7,7კმ

სერვისცენტრების მიხედვით მოხმარებული ელექტროენერგიის და შესაბამის სერვისცენტრებში წყლის მოხმარებაზე დარიცხული შემოსავლების ანალიზის შედეგად ხშირ შემთხვევებში 1 ლარი შემოსავლის მისაღებად დახარჯულია თითქმის იმდენივე ღირებულების ელექტროენერგია, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში 1 ლარზე მეტიც.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია იმ სერვისცენტრების ჩამონათვალი სადაც ელექტროენერგიის ხარჯი მაღალია მიღებულ შემოსავალთან მიმართებაში:

სერვის ცენტრები	2010 წელი			2011 წელი			2012 წელი		
	ელ ენერგია	შემოსავალი	ელენერგ/ შემოსავ	ელ ენერგია	დარიცხვები	ელენერგ/ შემოსავ	ელ ენერგია	დარიცხვები	ელენერგ/ შემოსავ
ქუთაისის სერვისცენტრი	4,294,391	6,919,506	0.62	4,322,071	8,221,663	0.53	3,031,300	8,990,755	0.34
ცაგერის სერვისცენტრი	14,665	30,991	0.47	13,683	29,528	0.46	23,374	38,331	0.61
ხარაგაულის სერვისცენტრი	82	16,809	0.00	33,229	45,113	0.74	280	43,851	0.01
ჭიათურის სერვისცენტრი	303,373	253,448	1.20	326,300	271,169	1.20	361,662	269,358	1.34
წყალტუბოს სერვისცენტრი	633,392	396,165	1.60	1,037,894	618,146	1.68	1,500,021	554,182	2.71
ჩხოროწყუს სერვისცენტრი	46,251	53,701	0.86	35,479	63,792	0.56	51,909	86,235	0.60
სენაკის სერვისცენტრი	747,173	527,597	1.42	949,199	2,032,371	0.47	997,696	2,300,763	0.43
ოზურგეთის სერვისცენტრი	103,385	94,283	1.10	68,165	248,626	0.27	102,762	318,419	0.32
ხობის სერვისცენტრი	178,753	62,024	2.88	89,908	106,659	0.84	115,113	159,881	0.72
კასპის სერვისცენტრი	134,655	188,206	0.72	124,087	228,095	0.54	136,912	210,438	0.65
ქარელის სერვისცენტრი	46,457	51,584	0.90	37,919	79,688	0.48	51,108	85,442	0.60
დუშეთის სერვისცენტრი	174,220	156,706	1.11	270,145	175,903	1.54	200,926	175,680	1.14
მარნეულის სერვისცენტრი	411,892	894,291	0.46	604,230	1,078,792	0.56	620,439	828,084	0.75
თეთრიწყაროს სერვისცენტრი	68,302	70,057	0.97	26,141	94,354	0.28	27,447	84,169	0.33
გურჯაანის სერვისცენტრი	200,711	192,300	1.04	178,260	217,257	0.82	161,869	246,989	0.66
სიღნაღის სერვისცენტრი	95,210	67,048	1.42	113,579	114,429	0.99	114,474	177,450	0.65
დედოფლისწყაროს სერვისცენტრი	136,975	147,441	0.93	157,195	171,047	0.92	167,852	230,141	0.73

კომპანიის განმარტებით მიღებული შემოსავლების ჭრილში დიდი რაოდენობით გაწეული ელექტროენერგიის ხარჯების ძირითად მიზეზს წარმოადგენს წყალმომარაგების ქსელის მოუწესრიგებლობა, რის გამოც ხდება დიდი რაოდენობით მოპოვებული წყლის დაღვრა. არის შემთხვევები როდესაც წყალმომარაგება ხორციელდება მაღალი აწევის ტუმბოებით (დუშეთის სერვისცენტრი) და ასევე არის შემთხვევები, როდესაც სატუმბო სადგურები მდებარეობს ერთ სერვის ცენტრში, ხოლო მათ მიერ გამომუშავებულ წყლის გარკვეულ ნაწილს მოიხმარს სხვა სერვის ცენტრი (სენაკის სერვისცენტრში გამომუშავებულ წყალს მოიხმარს ფოთის სერვისცენტრი; წყალტუბოს სერვისცენტრში გამომუშავებულ წყალს მოიხმარს ქუთაისის სერვისცენტრი;)

საწვავი

ცხრილში მოცემულია წლების მიხედვით შეძენილი და ჩამოწერილი საწვავის შესახებ ინფორმაცია:

წელი	შეძენა	გახარჯული	თანამშრომელთა ავტომანქანებზე
2010	1,102,659	977,115	309,061
2011	1,866,865	1,737,718	517,662
2012	1,760,852	1,915,040	-
სულ	4,730,376	4,629,873	826,723

კომპანიაში სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავი გამოიყოფა ყოველთვიური ლიმიტების სახით, რომელიც მტკიცდება კომპანიის დირექტორის ბრძანებით. 2010-2011 წლებში საწვავის ყოველთვიური ლიმიტები მტკიცდებოდა კომპანიის თანამშრომელთა მფლობელობაში მყოფ ავტომანქანებზეც, რომელთაც კომპანია იყენებდა თავისი საჭიროებისთვის, თუმცა მათთან არ გაფორმებულა საიჯარო ხელშეკრულებები.

სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავი ჩამოიწერება გავლილი მანძილის ან ნამუშევარი საათების მიხედვით. ჩამოწერის ნორმები (ზოგიერთ შემთხვევაში) დამტკიცებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ. წარმოდგენილ იქნა სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ჩამოწერის დამტკიცებული ნორმების მხოლოდ ნაწილი, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც ნორმები ვერ იქნა წარმოდგენილი, მიღებული განმარტებით, საწვავი ჩამოიწერებოდა „ფაქტიური“ ხარჯის მიხედვით.

კომპანიაში სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავი უნდა ჩამოიწეროს გავლილი მანძილის ან ნამუშევარი საათების (სატრანსპორტო საშუალების ტიპის შესაბამისად) მიხედვით. ჩამოწერის საფუძველია ტექნიკური პასპორტის მონაცემები ან „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ დამტკიცებული ნორმა. ფაქტობრივად კომპანიაში საწვავის ჩამოიწერებოდა დამტკიცებული ნორმების გაუთვალისწინებლად, როგორც მეტი ასევე ნორმაზე ნაკლები ოდენობით. შერჩეულ სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ჩამოწერის რეალობის შესწავლით აღმოჩნდა, რომ 4 შემთხვევაში დადგენილ ნორმაზე მეტობით ჩამოწერილია 3,405 ლიტრი, ხოლო 29 შემთხვევაში ნორმაზე ნაკლებით 50,894 ლიტრი

ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთიდაიმავე სატრანსპორტო საშუალებაზე სხვადასხვა თვეს ჩამოიწერებოდა განსხვავებული რაოდენობის საწვავი. კერძოდ, ერთერთ ტრაქტორზე ერთ ნამუშევარ საათზე მაისის თვეში ჩამოწერილია 18 ლიტრი, ივნისი-ივლისში - 20 ლიტრი, ხოლო ოქტომბერ-დეკემბერში 22 ლიტრი საწვავი. ექსკავატორზე 2011 წლის ივნის-სექტემბერში ჩამოწერილია 8 ლიტრი, ოქტომბერ-დეკემბერში - 4,5-5 ლიტრი, 2012 წლის იანვარ-აგვისტოში 5-5,8 ლიტრი, სექტემბერ-ნოემბერში 6,3 ლიტრი, მაშინ როდესაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით 1 ნამუშევარ საათში ზემოაღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე უნდა ჩამოეწერათ 12-12 ლიტრი საწვავი და ა. შ.

ის ფაქტი, რომ კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები მოიხმარენ იმაზე ნაკლებ საწვავს, ვიდრე ეს დადგენილი ნორმებითაა გათვალისწინებული, შესაბამისი რისკების მატარებელია. კერძოდ, ან ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დამტკიცებული ნორმები არ შეესაბამება სატრანსპორტო საშუალებების მიერ რეალურად მოხმარებული საწვავის რაოდენობებს (ნორმები არარეალურია), ან სატრანსპორტო საშუალებებში ხდება დამატებითი საწვავის ჩასხმა, ე.ი დამატებითი ხარჯების გაწევა (მძღოლების ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი სამუშაოებით, რასაც არ ითვალისწინებს სერვის ცენტრების სამუშაო გეგმები.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებულ საავტომობილო საშუალებებზე დამონტაჟებული იყო GPS მოწყობილობა, რომლითაც უნდა გაკონტროლებულიყო მათი გადაადგილება, თუმცა კომპანიას არ გააჩნია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შესახებ GPS სისტემის მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია, ინფორმაცია წაშლილია, ამიტომ ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება, თუ როდის და სად გადაადგილდებოდა აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. შესაბამისად, შეუძლებელია 4,629,873 ლარის ღირებულების საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის დადგენა. ასევე გაურკვეველია კომპანიის მიერ ტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავლები რამდენად სრულია და ხომ არ აქვს ადგილი ტექნიკის უკანონოდ ექსპლუატაციის ფაქტებს.

შესყიდვები

შესყიდვების განხორციელებისას კომპანია ხელმძღვანელობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით⁶, “შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალურ წესის დამტკიცების შესახებ” (შემდგომში სპეც. წესი).

ტენდერი

სარემონტო სამუშაოების შედეგად დაზიანებული გზის საფარის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ სატენდერო დოკუმენტაციაში, არ არის წარმოდგენილი საბაზისო მონაცემთა ნუსხა, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა კონკრეტული ტენდერისათვის დამახასიათებელი ინფორმაცია (დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, უზრუნველყოფის გარანტია და მისი ოდენობა, წინადადების წარდგენის ვადები, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დრო და ადგილი, შეფასების კრიტერიუმები და ა.შ). კომისიის მიერ პრეტენდენტების შეფასების ერთერთ კრიტერიუმად გამოყენებულია შესრულებული სამუშაოს ხარისხი, თუმცა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად ვერ დგინდება რის საფუძველზე მოახდინეს კომისიის წევრებმა შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება.

ზემოხსენებულ ტენდერში გამარჯვებულ შპს „ოქროს საწმისთან“, გაფორმებული ხელშეკრულების⁷ მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტი შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა კომპანიის შესაბამისი სერვის ცენტრის მენეჯერს და ტექნიკური სამსახურის წარმომადგენელს, თუმცა მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე (კომპანიის მხრიდან) ძირითადად მხოლოდ სერვის ცენტრის მენეჯერის ხელმოწერაა. ამასთან არცერთ მიღება-ჩაბარების აქტში არაა მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯთაღრიცხვა არ არის ჩაშლილი ცალკეული სამუშაოებისა და მასზედ დახარჯული მასალების მიხედვით, ასევე არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი „ფორმა2“-ები

⁶ 2010 წლის 19 მარტი საქართველოს მთავრობის დადგენილება N 80

⁷ 2010 წლის 28 მაისის ხელშეკრულება N ტ-9

(სამუშაოს შესრულება დასტურდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტით). გამომდინარე აღნიშნულიდან აუდიტის შედეგად ვერ იქნა მოპოვებული ჩატარებული სამუშაოების რეალურობის შესაბამისი რწმუნება.

ცალკეულ შემთხვევებში კომპანიამ ვერ წარმოადგინა ბრძანებები ინსპექტირების ჯგუფის შექმნაზე და ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ინსპექტირების აქტები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიხედვით ხელშეკრულების შესრულების კონტროლი უნდა განხორციელდებინათ შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილ ინსპექტირების ჯგუფებს. ასე მაგალითად: შპს „იჯიესთან“ ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ჭის თავებისა და ხუფების შეძენა. ხელშეკრულების პირობების მიხედვით ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან უნდა განხორციელდებინა შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფს. ბრძანება ინსპექტირების ჯგუფის შექმნაზე და ასევე ინსპექტირების აქტები კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

2010 წლის 19 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება⁸ შპს „მეოხთან“ სახელშეკრულებო თანხით 159,020 ლარი. შესყიდვა განხორციელდა ტენდერის საფუძველზე.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა:

1. კომბინირებული მრიცხველის ყუთის მონტაჟი და მრიცხველის კვანძის მონტაჟი (რაოდენობა 913).
2. მრიცხველის კვანძის მონტაჟი (რაოდენობა 983).

მხარეებს შორის 665 მრიცხველის კვანძის მონტაჟზე გაფორმებულია 3 მიღება-ჩაბარების აქტი რომლის შესაბამისად ანაზღაურებულია 27,962 ლარი. კომპანიის მიერ ვერ იქნა მოწოდებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზების ამსახველი რაიმე დოკუმენტაცია.

კომპანიის მიერ თხევადი ქლორის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯორჯიან მაინინგ+“ რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 202,000 ლარის ღირებულების 99 ტონა თხევადი ქლორის შესაძენად. ამასთან სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო, რომ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს მისაწოდებელი საქონლის წარმოშობის დამადასტურებელ სერთიფიკატს. შპს „ჯორჯიან მაინინგ+“-ის სატენდერო წინადადებაში აღნიშნულია, რომ სერთიფიკატის წარმოდგენა მოხდებოდა პროდუქციის მიწოდების დროს, რაც განხორციელდა კიდევ. სატენდერო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის მიუხედავად პრეტენდენტი არ იქნა დისკვალიფიცირებული, ხოლო მის მიერ შემოთავაზებული უმცირესი ფასიდან გამომდინარე გამოცხადდა ტენდერში გამარჯვებულად.

მიწოდებული ქლორის ოდენობამ ნაცვლად 99 ტონისა შეადგინა მხოლოდ 12.6 ტონა. კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების რაიმე ცვლილება და არც მიმწოდებელს დაკისრებია პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე.

ელექტრონული ტენდერი

შპს „გეოკორთან“ ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების⁹ საგანს წარმოადგენდა თეთრიწყაროში არტეზიული ჭის გაბურღვის და მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა უზრუნველყო ჭაბურღილების შესახებ დასკვნის შედგენა. აღნიშნული დასკვნა ვერ იქნა წარმოდგენილი. ხელშეკრულების ცვლილებით მოხდა სამუშაოს ჩაბარების ვადის გაზრდა 10 დღით, ხოლო სახელშეკრულებო სავარაუდო ღირებულება 198,999 ლარიდან შემცირდა 189,960 ლარამდე.

⁸ 2010 წლის 19 აგვისტოს ხელშეკრულება N ტ-10

⁹ 2012 წლის 24 თებერვალის ხელშეკრულება N T-022401

შპს „ინჟინერი-96“-თან ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მრიცხველების დაყენება სხვადასხვა ქალაქში. ხელშეკრულებით განისაზღვრა წყლის მრიცხველის კვანძის მოწყობის ეტაპობრივი ვადები ქალაქების მიხედვით. 2012 წლის 10 ოქტომბერს გაფორმდა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მოხდა სამუშაოების ვადების გაგრძელება და სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 30 ნოემბერი. მოიხსნა ეტაპობრივი ვადები ქალაქების მიხედვით. მიმწოდებელს 29 ივლისის მდგომარეობით უკვე დასრულებული უნდა ჰქონოდა ახმეტის, ხოლო 28 აგვისტოს მდგომარეობით ხაშურისა და ბოლნისის გამრიცხველიანება. 73 დღით დაგვიანების გამო, მომწოდებელს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო 30,660 ლარის ოდენობით, რაც კომპანიის მიერ არ განხორციელებულა. მიუხედავად ვადის გაგრძელებისა მიმწოდებელმა მაინც ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროულად შესრულება, რამაც შედეგად გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა და მომწოდებლის დაჯარიმება 35,699 ლარით.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

2011 წლის 24 აგვისტოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება შპს „სხივთან“ სახელშეკრულებო თანხით 76,869 ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ასაწყობი დროებითი საცხოვრებელი სათავსო. სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პირობებში მოთხოვნილი იყო სახურავის ფერი თეთრი, ხოლო კედლის ფერი ლურჯი, ამასთან თეთრ ფერზე იყო მითითებული ფერთა კლასიფიკაციის კოდი ral 3005, 3011, რომელიც წარმოადგენს წითელ ღვინის ფერს და არა თეთრს. სათავსოს კონდიციონერის მახასიათებლებში გვხვდება კონკრეტული ფირმის hyundai-ს მსგავსი კონდიციონერის მოთხოვნა. აღნიშნული ტექნიკური პირობების დანართი შეუსაბამოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თვითმართვის #9 ბრძანების¹⁰ მოთხოვნებთან. რომლის მიხედვით დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში მითითებული იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. კონდიციონერების შემთხვევაში კი ასეთი საჭიროება არ არსებობდა. გამარტივებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, რომლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური მახასიათებლები სრულად ემთხვევა მოთხოვნილ მახასიათებლებს.

ანალოგიური შემთხვევა ხდება 2012 წლის 26 მარტს გამოცხადებულ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, სადაც შესყიდვის საგანს წარმოადგენდა კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგები. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილია i7-2600k პროცესორის ბაზაზე აწყობილი კომპიუტერები და ასევე მოთხოვნილია nvidia -ს ფირმის გრაფიკული კარტა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიასა და მომწოდებელს შორის წინასწარ შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პირობების შედგენა.

ფასთა კოტირება

ფასთა კოტირების საშუალებით შპს „ალგორითმთან“ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება. ფასთა კოტირებაში მონაწილეობისათვის დაგზავნილი მოწვევის მიხედვით, პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ: განცხადება მონაწილეობაზე, ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ და ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ. კომპანიამ ვერ წარმოადგინა შ.პ.ს „ალგორითმის“ მიერ წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტაცია. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი გამარჯვებულის გამოვლენის დამადასტურებელი კომისიის ოქმი.

¹⁰ მე-11 მუხლი

გამარტივებული შესყიდვა

მთავრობის განკარგულებით¹¹ გამოყოფილი თანხის ფარგლებში კომპანიამ განახორციელა ანაკლიის ტრეინინგ ცენტრის ინტერიერის დიზაინ მომსახურების (110,000 აშშ დოლარის შესაბამისი ექვივალენტი ლარი) და ასევე ექსტერიერისა და ტრეინინგ ცენტრთან მისასვლელი გზის მოწყობის საპროექტო მომსახურების და ხარჯთაღრიცხვის მომზადების (135,000 ლარი) შესყიდვა. ჯამში ანაკლიის ტრეინინგ ცენტრის პროექტზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 289,260 ლარი. მთავრობის განკარგულების¹² საფუძველზე პროექტი შემდგომი განხორციელების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა შპს „ანაკლია დეველოპმენტს“. საყურადღებოა, რომ მთავრობის განკარგულებაში და შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტში ტრეინინგ ცენტრის პროექტი შეიცვალა სასტუმროს პროექტის სახელწოდებით.

უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პროექტი, შესაბამისად ჩვენ ვერ მივიღეთ იმის რწმუნება შესაძლებელი იყო თუ არა ტრეინინგ ცენტრის პროექტის, სასტუმროს მშენებლობის პროექტად გამოყენება. ამასთან ჩვენთვის უცნობია ზემოხსენებული მშენებლობა განხორციელდა თუ არა იმ პროექტით რომელშიც კომპანიამ დახარჯა 289,260 ლარი.

ერთ პირთან მოლაპარაკება

სოფელ ახალსოფლის სათავო ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შპს „კოლხი 55“-თან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით მოთხოვნილი იყო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის წარმოდგენა. სამუშაოების შემსრულებლის მიერ საბანკო გარანტია ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც პირგასამტეხლოს (11,070 ლარი, 60 დღე) დაკისრების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

შესყიდვა სპეციალური წესით

შპს „თნმ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა პოლიეთილენის მილები. მომწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული საქონლის ღირებულება, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების პირობებით.

კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების პირობათა გამოკითხვის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2010 წლის 26 ივნისის გაზეთ „24 საათში“ გამოცხადებულ განცხადებაში მითითებულია რომ გამოკითხვა ჩატარდებოდა 2 ლოტად. თუმცა სავარაუდო ღირებულება არ იყო დანაწილებული ლოტების მიხედვით, ხოლო ერთიანმა სავარაუდო ღირებულებამ 140,000 ლარი შეადგინა.

კომპანიის მიერ პრეტენდენტებისთვის გაგზავნილ ტექნიკურ დავალებით მოთხოვნილია კონკრეტული ფირმის მონიტორი, პროცესორი, კვების ბლოკი, ქეისი, მაუსი და ა.შ. აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობით შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში კონკრეტული საფირმო ნიშნის, მოდელის, პატენტის ან მწარმოებელის მითითება დაუშვებელია. პრეტენდენტებისთვის გაგზავნილი ტექნიკური დავალება სრულ თანხვედრაშია შესყიდვაში გამარჯვებულ შპს „ალგორითმის" მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დავალებასთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ სახელმწიფოებო ღირებულება 300 ლარით მეტია სავარაუდო ღირებულებაზე.

შესყიდვების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ტენდერების ჩატარების დროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფოებო თანხებს და ქმნის მაღალფასიანი შესყიდვის რისკს.

¹¹ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 იანვრის განკარგულება N 58

¹² საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის განკარგულება N 285

2010 წლის 23 სექტემბერს ტენდერის ჩატარების საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება შპს „კონდასთან“. ტენდერი გამოცხადდა 4 ლოტად სერვის ცენტრების ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. N1 ლოტის (ზუგდიდის სერვის ცენტრის რემონტი) სავარაუდო ღირებულება სატენდერო განცხადების მიხედვით შეადგენდა 57,412 ლარს რაც მნიშვნელოვნად აღემატება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების შემოთავაზებულ ფასს. გამარჯვებული პრეტენდენტის შემოთავაზებული თანხა აღნიშნულ ლოტზე წარმოადგენდა 20,000 ლარს. სხვაობა მიუთითებს იმაზე, რომ შემსყიდველმა სათანადოდ არ აწარმოა ბაზრის კვლევა და შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა საბაზრო ფასებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული ძირითადად ეხება იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ძირითად საქმიანობასთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო თანხებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები:

მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	სხვაობა
შპს „ბერმუდი“	მიწები	200,000	134,949	65,051
შპს „ჯეოიმპულსი“	წყლის მრიცხველები	651,200	299,999	351,201
შპს „მშენებელი xxi“	ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა	358,800	214,900	143,900
შპს „ტონიკი“	წყლის მრიცხველები	500,000	295,000	205,000
შპს „ნიუ კომუნალ სერვისი“	წყლის მრიცხველები	350,000	257,000	93,000
შპს „ო და კ ბილდინგ კომპანი“	ფიტინგები	450,000	221,999	228,001
შპს „ო და კ ბილდინგ კომპანი“	მაერთებელი ქუროები	435,000	291,000	144,000

საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹³, კომპანიას „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოეყო 2,500,000 ლარი, საქართველოს რეგიონების მასშტაბით საკურორტო ზონებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. ზემოხსენებული განკარგულების შესრულების მიზნით, გაფორმდა 13 ხელშეკრულება. გაფორმებული ხელშეკრულებიდან 4 ხელშეკრულება შეწყდა მიმწოდებლების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე. სულ აშენდა 34 ობიექტი აქედან 2 ობიექტზე, სამუშაოების სრულყოფილად დაუსრულებლობის გამო, არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები (შპს „ოქტან-მედია“). ამასთან კომპანიას სამუშაოების საბოლოო დასრულებაზე სხვა მომწოდებელთან ხელშეკრულება აღარ გაუფორმებია. საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 1,850,030 ლარი. ქვემოთ მოცემულია საწარმოების დასახელება და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა.

შემსრულებელი	რაოდენობა	გაწეული ხარჯი	
შპს "კონსტრუქცია-XXI	2	99,400	
შპს "ანთილი"	-	30,402	ხელშ. შეწყდა
შპს "ლიკანი 2000"	4	238,180	
შპს "თელა"	3	156,995	
შპს "სპეცსეისმომონტაჟი"	3	170,166	
შპს "სპეცსეისმომონტაჟი"	-	42,091	ხელშ. შეწყდა
შპს "კონსოლი"	5	330,212	
შპს "იმედი 10"	0	115,206	ხელშ. შეწყდა
შპს "ლიკანი 2000"	4	166,765	
შპს "თელა"	4	208,938	

¹³ 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N 2549 განკარგულება

შპს "ოქტან-მედეა"	2	61,896	ხელშ. შეწყდა
სპს "ჯაბა ნოზაძე ელიტა+"	6	177,457	
სპს "ჯაბა ნოზაძე ელიტა+"	1	52,322	
სულ	34	1,850,030	

შპს „ოქტან-მედეას“ მიერ სამუშაოების დასრულებაზე უარის შესახებ ინფორმაცია, კომპანიამ აცნობა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შპს „ოქტან-მედეას“ „შავ სიაში“ დასარეგისტრირებლად. ამასთან წერილში მითითებულია, რომ შპს „ოქტან-მედეას“ შავ სიაში დარეგისტრირების შემდგომ, ამ უკანასკნელზე მოხდებოდა 8,000 ლარით პირგასამტეხლოს დაკისრება. 2013 წლის 21 მარტის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N185 განკარგულებით შპს „ოქტან-მედეა“ დარეგისტრირდა შავ სიაში. თუმცა წერილში მითითებული პირგასამტეხლოს დაკისრების რაიმე დოკუმენტი კომპანიამ ვერ წარმოადგინა და არც ბუღალტრულად მომხდარა მოთხოვნის ასახვა. ბუღალტრულად კომპანიას დღეის მდგომარეობითაც ერიცხება შპს „ოქტან-მედეას“ მიმართ ვალდებულება (შესრულებული სამუშაოდან დაკავებული 10%), 6,878 ლარის ოდენობით.

კომპანიაში ცალკეულ შემთხვევებში სათანადო დასაბუთების გარეშე, გაზრდილია ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები.

ქვემოთ მოცემულია იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალი რომლებშიც ვადების გაზრდაზე კომპანიამ შესაბამისი დასაბუთება ვერ წარმოადგინა:

მიმწოდებელი	შესყიდვის საშუალება	სახელშეკრულებო თანხა	გაზრდილი დღეების რაოდენობა
შპს „კოლხი 55“	ერთ პირთან მოლაპარაკება	184,550	30
შპს „ეკოპროექტი“	ერთ პირთან მოლაპარაკება	132,729	200
შპს „მშენპროექტი“	ერთ პირთან მოლაპარაკება	104,777	200
შპს „მშენპროექტი“	პირობათა გამოკითხვა	100,000	92
შპს „ნიუმშენი“	გამარტივებული შესყიდვა	120,384	15
შპს „ლიკანი 2000“	გამარტივებული შესყიდვა	174,182	77
სპს „ჯაბა ნოზაძე ელიტა+“	გამარტივებული შესყიდვა	197,081	45
შპს „თელა“	გამარტივებული შესყიდვა	213,735	45
შპს „კონსტრუქცია XXI“	ელ.ტენდერი	106,948	141

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვა

კომპანიის დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა 57,888,641 ლარის ოდენობით, აღნიშნული ქონების მიღებაზე კომპანიას არ აქვს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები კომპანიის კაპიტალის შესავსებად 2010-2012 წლებში გადმოცემულ 23,833,567 ლარის ღირებულების ქსელებისა და 37,008,984 ლარის ღირებულების ნაგებობების შემთხვევებში.

საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული საკუთრების უფლება კომპანიის ბალანსზე რიცხულ ხაზოვან ნაგებობების (წყალმომარაგებასთან და წყალარინებასთან დაკავშირებული მაგისტრალურ მიწები) ძირითად ნაწილზე. შესაბამისად გაურკვეველია რამდენ გრძივ მეტრ ხაზოვან ნაგებობას ფლობს კომპანია და მისი ზუსტი

ადგილმდებარეობა, რაც თავის მხრივ ართულებს ავარიების დროულ აღმოფხვრასა და შესაბამის მოვლა-პატრონობას ხოლო მისი დატაცების შემთხვევებში სამართლებრივ დავას.

კომპანიას კაპიტალში 2011 წლის 5 სექტემბერს¹⁴ შეტანილია ყვარელის რაიონში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 11,868 ლარის ღირებულების, 5,151 კვ.მ მიწის ფართი. საკუთრების უფლების რეგისტრაციისას წარმოიშვა ტექნიკური ხარვეზი რომლის გამოსწორებაზე თანხმობა კომპანიას მიეცა 2012 წლის 24 იანვრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილით. თუმცა მიწის ნაკვეთის კორექტირება და კორექტირებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 2012-2013 წლებში არ მომხდარა.

კომპანიას კაპიტალში 2012 წლის 16 თებერვალს¹⁵ შეტანილია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 3,969 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება შეადგენს 7,835 ლარს. მენეჯმენტის განმარტებით აღნიშნულ შემთხვევაშიც წარმოიშვა ტექნიკური პრობლემა, რომელიც 2012-2013 წლებში არ იყო მოგვარებული. ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე გაშვების მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით, კომპანიას კაპიტალის შესავსებად გადმოეცა და 2011 წლის 19 სექტემბერს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ხობის რაიონში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 20 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზედ დამაგრებული 19,59 კვ.მ ნაგებობა (დარაჯის ჯიხური), რომლის ღირებულება 1,452 ლარს შეადგენდა. 2011 წლის 4 ნოემბერს კომპანიას გაუქმდა ზემოხსენებულ აქტივზე საკუთრების უფლება. იმავე ბრძანებით კომპანიას გადმოეცა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 110,002 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზედ დამაგრებული შენობა ნაგებობები, საერთო ღირებულებით 384,457 ლარი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ზემოხსენებული საყარაულო ჯიხურიც, რომლის ფართი 14 კვ.მ-ს შეადგენს, ხოლო ღირებულება 1,038 ლარს. შესაბამისად ზემოხსენებული ბრძანებაში, რომელსაც ასევე ახლდა აუდიტის დასკვნა ერთიდაიგივე ნაგებობა ორჯერ არის მოხსენიებული და შესაბამისად ექვემდებარებოდა რეგისტრაციის გაუქმებას. აქვე აღსანიშნავია, რომ ერთიდაიგივე ნაგებობის ფართი და მისი ღირებულება განსხვავებულია.

ავტოსატრანსპორტო საშუალების კომპანიის კაპიტალში შეტანის და ამოღების შესახებ

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში 2012 წლის 5 სექტემბერს¹⁶ შეტანილი იქნა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბალანსზე არსებული „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“, რომლის ღირებულება აუდიტორული დასკვნით შეადგენდა 107,521 ლარს. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება კომპანიის კაპიტალიდან ამოღებულია 41 დღეში და გადაეცა სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ძვირადღირებული ავტომანქანის კომპანიისათვის გადმოცემის საჭიროებაზე და მალევე მისი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის გადაცემის მიზანშეწონილობაზე ინფორმაცია კომპანიამ ვერ წარმოადგინა.

¹⁴ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანება N 71/ო

¹⁵ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანება N 10/ო

¹⁶ 2012 წლის 5 სექტემბრის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანება N 74/ო

ინვენტარიზაცია

კომპანიაში 2010, 2011 და 2012 წლებში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, აქედან გამომდინარე ვერ დასტურდება ძირითადი საშუალებების ფიზიკური არსებობა. შესაბამისად შეუსრულებელია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით¹⁷ გათვალისწინებული მოთხოვნები. რომლის მიხედვით კომპანიისთვის სავალდებულოა ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარება.

აუდიტორთა ხელმოწერა:

გიორგი ბერუჩაშვილი

რაინ ყუფუნია


ნათია გამყრელიძე


თამარ ფიცხელაური


შორენა თირქია


ალექსანდრე მღებრიშვილი














¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N 70 ბრძანებულება